პროლეტარიო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 218 (2379)
13 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

გვიმრავლოს!

35-ე სკოლის ახალმოსახლეობა

თბილისის სპორტის მოყვარულებს რომ ჰკითხოთ, ქალაქის ყველაზე პოპულარული სკოლა დაასახელეო, პასუხად უეჭველად გაიგებთ: რა თქმა უნდა, 35-ე საფეხბურთო სკოლა! და თუმცა, ოფიციალურად სკოლას სხვა სახელი აქვს — თბილისის ექსპერიმენტული სპორტული (საფეხბურთო) პროფილის ოლიმპიური რეზერვის 35-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა გახანგრძლივებული დღის რეჟიმით, მას მაინც ძველებურად, უბრალოდ, ოცდამეთხუთმეტე სკოლას უწოდებენ.

ამ განთქმულ სკოლაში უსწავლიათ შესანიშნავ ქართველ ფეხბურთელთა თაობებს, გამოჩენილ ოსტატებს, ახლა კი ბიჭებთან ორმოცი მწვრთნელი მუშაობს, რომელთა შორის არიან წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ავთანდილ ხელაძე, თენგიზ მელაშვილი, ალექსი ილიადი, რობერტ ჭანჭალეიშვილი და ბევრი სხვა.

35-ე სკოლამ ახლახან ახალმოსახლეობა იდღესასწაულა. ახალ შენობაში არის კარგად მოწყობილი კაბინეტები და ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები, გასახდელები და საშხაპეები, სასადილო,

იხ. მე-3 გვ.

**ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ავთანდილ ხელაძე, ალექსი ილიადი, ალექსანდრე ჩიტაია, ბორის ბოლკვაძე, ალექსანდრე ბალაბანიძე, ალექსანდრე ბალაბანიძე, ალექსანდრე ბალაბანი

რას მოქვიან საყრდენი სახეობა?

ქალი ფიქრისა, ქალი განსჯისა

უნდა ვალიაროთ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საგზატკეცილო-ველოსპორტის წარმომადგენელთაგან რაიმე ღირებულს არ ველოდით. არც მწვრთნელებს, სპეციალისტებს, თავად სპორტსმენებს ჰქონიათ წარმატების მოპოვების იმედი.

ასეც მოხდა, საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ 16 ჩასათვლელი ქულა მიიღო — გეგმით გათვალისწინებულზე ოთხით ნაკლები და მეცამეტე ადგილი დაიკავა.

ეს ჩასათვლელი ქულები ჩვენმა ველოსიპედისტებმა პროგრამის ორ სახეობაში (100 კილომეტრზე გუნდური რბოლა და მრავალდღიანი რბოლა) მოიპოვეს, რაც შეეხება მესამე სახეობას (ჯგუფური რბოლა 180 კილომეტრზე), აქ ჩვენი გუნდი საერთოდ შეუფასებელი დარჩა (საუკეთესო შედეგი— 42-ე ადგილი — „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ს. რეშეტოვმა აჩვენა).

საქართველოს ველოსიპედისტთა სუსტ გამოსვლას, აკი ვთქვით, არ გავუკვირვებივართ. არ გავუკვირვებიავართ იმიტომ, რომ საკავშირო ტურნირებში ჩვენი ველოსიპედისტების დაბალ მაჩვენებლებს კარგა ხანია შევეჩვიეთ. გუნდმა ის ადგილი დაიკავა, რასაც ობიექტურად იმსახურებდა.

ამ მოსაზრების სისწორეში აი, რა გვარწმუნებს. ტაჯიკეთის ნაკრებმა, რომელმაც სასპარტაკიადო ტურნირში XII ადგილი დაიკავა, ჩვენს გუნდს 61 ქულით აჯობა, ესტონეთის გუნდმა კი (იგი XI ადგილზე იყო), კიდევ უფრო მეტით — 83 ქულით. ასეთი სხვაობის ლიკვიდირებას არსებული რესურსებით ჩვენი ველოსიპედისტები, ცხადია, ვერ შეძლებდნენ. ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

ამბობენ, რომ დაბალი სპორტული შედეგების გამო, რესპუბლიკაში საგზატკეცილო ველოსპორტი საყრდენ სახეობად არ ითვლება. და რადგან საყრდენი სახეობა არ არის, მას არც ჯეროვანი ყურადღება ექცევა. გამოდის, რომ ყოვლად გაუგებარი, ჯადოსნური წრე შეკრულა. არ არის შედეგები — არ იქნება საყრდენი სახეობა, არ არის საყრდენი სახეობა — რა საჭიროა მაღალ შედეგებზე ზრუნვა? და ასე დაუსრულებლად.

ამ გაუგებრობიდან თავის დაღწევას, ასე თუ ისე, ორი საზოგადოება — „კოლმეურნე“ და „განთიადი“ ცდილობს, მაგრამ განა შეძლებენ ისინი თითებზე ჩამოსათვლელი სასწავლო ჯგუფებით, ღარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და უკმარისი რეზერვით ისეთი მასშტაბური პრობლემის გადაჭრას, როგორიც ველოსპორტის განვითარებაა? განა შეუძლია ორად-ორ ორგანიზაციას, რაგინდ კარგადაც უნდა ჰქონდეს საქმე, მთელი რესპუბლიკის ველოსპორტი წარმოადგინოს? ცხადია, არა. აქ სხვა ზომების მიღება, უფრო ღრმა და არსებითი რეფორმების გატარებაა საჭირო.

პირველ რიგში ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ სიტყვა „საყრდენი სახეობა“. კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა იყოს ჩვენში საგზატკეცილო ველოსპორტი საყრდენი სახეობა? მთელი წლის გაწმაცლობაში წვრთნისთვის კლიმატური პირობები არ გვიწყობს ხელს თუ მრავალპროფილიანი ტრასის გამოძებნა გვიჭირს? ან ვინ თქვა, ვინ დაადგინა, რომ სატრეკო ველოსპორტი ჩვენი სახეობაა, აი, საგზატკეცილო კი... სხვისი?

მოგეხსენებათ, ერთი გაუგებრობა, როგორც წესი, სხვა გაუგებრობას ბადებს და ასე წარმოიქმნება სირთულეთა, გადაულახავ დაბრკოლებათა მთელი ჯაჭვი. ქალთა ველოსპორტი დღეს სწორედ ამ გაუგებრობის გამოა ჩამორჩენილი. დიახ, ქალთა ველოსპორტი ჩვენში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ალბათ შეგვეკამათებიან, გვეტყვიან — რას ვიზამთ, საყრდენი სახეობა არ არის და იმიტომ. სამწუხაროდ, ასეთი პასუხისთვის საკმაოდ ობიექტური საფუძველი არსებობს.

არადა, სპარტაკიადაზე, როგორც ცნობილია, საერთო-კომპლექსურ ჩათვლაში ჩვენს მთავარ კონკურენტებს — უზბეკეთისა და ლიტვის გუნდებს ქულათა მარაგის ნახევარზე მეტი სწორედ ქალთა ველოსპორტმა მოუტანა (უზბეკეთის გუნდს 278-დან 190, ლიტვის კოლექტივს — 188-დან 151 ქულა). ეს იმ დროს, როცა სპარტაკიადაზე საქართველოს ქალთა გუნდი საერთოდ არ გამოუყვანია. მიზეზი? ისევ ის ყბადაღებული ორი სიტყვა „საყრდენი სახეობა“. არ გამოვიყვანეთ გუნდი იმიტომ, რომ მისი იმედი არ გვქონდა, არ გვქონდა იმედი იმიტომ, რომ ველოსპორტი არ იყო საყრდენი სახეობა.

ახლა ეს მოსაზრება სხვა კუთხითაც შევამოწმოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაღალ შედეგებს სპორტსმენი შეჯიბრებებში ხშირი, სისტემატური მონაწილეობით აღწევს. ამ შეჯიბრებებისთვის იგი დიდხანს და საგულდაგულოდ ემზადება. გარდა ამისა, თავად შეჯიბრებაც ხომ ოსტატობის დახვეწის თავისებური სკოლა ვახლავთ? ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად რამდენიმე ათეული საკავშირო შეჯიბრება, რბოლა და ჩემპიონატი ტარდება, მაგრამ იმის გამო, რომ „გზატკეცილი“ არ არის საყრდენი სახეობა, ჩვენმა ველოსიპედისტებმა მხოლოდ ექვს მათგანში მიიღეს მონაწილეობა. სულ კი სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში 27-ჯერ გამოვიდნენ სარბიელზე. ეს ძალზე ცოტაა საერთო საკავშირო სტანდარტებთან შედარებით (80 სტარტი).

სპარტაკიადის პერიოდში საქართველოს ველოსიპედისტთა გუნდს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მხრივ შეფერხება არ ჰქონია, მაგრამ ერთი ნიუანსი მაინც ანგარიშგასაწევია. ჩვენი (და თუ არ ვცდებით, სომხეთის ველოსიპედისტებიც) სამამულო ინვენტარით იყვნენ აღჭურვილნი, სპარტაკიადის სხვა მონაწილეებს კი იმპორტული ინვენტარი ჰქონდათ. ხშირი ტრავმებისა და ავარიების მიზეზიც სწორედ ეს იყო. გაიხსენეთ კ. აბაიშვილი, რომელსაც ჯგუფურ რბოლაში ველოსიპედი გაუტყდა და შეჯიბრება ვერ დაამთავრა, ნ. კაკალაშვილი და ს. რეშეტოვიც ამავე მიზეზით ჩამოვიდნენ დისტანციიდან.

საგზატკეცილო ველოსპორტი რესპუბლიკაში სუსტადაა განვითარებული. ეს უდავო ფაქტია. ამიტომ სპარტაკიადაზე ყოველმხრივ მომზადებული გუნდის გამოყვანაზე ფიქრი თავის მოტყუება იქნებოდა. სპარტაკიადაზე ჩვენ ახალგაზრდა ველოსიპედისტებით დაკომპლექტებული კოლექტივით ვასპარეზობდით (ყველაზე „ხანდაზმული“ — სოხუმელი ს. კუკლენკოვი — 23 წლის იყო, ყველაზე ახალგაზრდა — ლაგოდეხელი ხ. ბარბაქაძე კი მხოლოდ 18-ის). ეს კარგია, მაგრამ შეჯიბრების წინ ფორსირებულმა მზადებამ, დატვირთვათა გაზრდამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა არასაკმარისად გაწვრთნილ სპორტსმენებზე. სწორედ ეს იყო ჩვენი ველოსიპედისტების ხშირი ტრავმების მიზეზი.

მოულოდნელი ან გაუთვალისწინებელი, როგორც ხედავთ, არაფერი მომხდარა. სასპარტაკიადო შეჯიბრებებში საბოლოოდ გამოიკვეთა ჩვენი ნაკლოვანებები და სისუსტეები, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, კარგია, რომ მათი დაძლევის გზაც გამოჩნდა. ეს გზა დაახლოებით ასე წარმოგვიდგენია:

საგზატკეცილო სპორტმა თავისი უფლებები უნდა დაიბრუნოს, იგი უნდა გავხადოთ უფრო მასობრივი, ფართო მასშტაბური, მეტი მოვაზოვოთ სპორტსაზრაობებს — მწვრთნელებს, სპორტსმენებს, აქტიურად ჩავაბათ ველოსპორტში ქალები, ხშირად ჩავატაროთ რესპუბლიკური შეჯიბრებები, ხშირად მივავლინოთ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ჩვენი ველოსიპედისტები, უფრო გაბედულად მოვითხოვოთ ხარისხიანი ინვენტარი, სრულყოთ ველოსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ყველაფერზე მკაცრი კონტროლი დავწესოთ.

და კიდევ ერთი, თანამედროვე, მჭიდროდ დასახლებულ სამრეწველო ქალაქში, რომლის ქუჩები და მაგისტრალები მუდმივად გადატვირთულია, სრულფასოვანი ვარჯიშების ჩატარება ერთობ ძნელია, თანაც მიზანშეუწონელიც. ამიტომ ვარკეთილის სპეციალური რკალური ველოტრასის მშენებლობა უნდა დაჩქარდეს. ასეთი ტრასა ყველა რესპუბლიკას აქვს. თბილისსაც უნდა ჰქონდეს იგი.



თბილისის „შევარდენი“

დასასრული

გუნდს, ისე როგორც დიდ მდინარეს, რამდენიმე მძლავრი შენაკადი, კერძოდ, „შევარდენის“ მოზარდთა საკმაოდ ძლიერი გუნდი და ქალაქის პირველობაზე მოსაპარეზე სტუდენტური კოლექტივები ასაზრდოებს. სანებლიძეს შეესაშური პედაგოგიური ალღო აქვს, თავად თამაშობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში, უშუალოდ თამაშში აკვირდება პარტნიორებს და მეტოქეებს, ამიტომ ნიჭიერი და მონდომებული ყმაწვილი შეუნიშნავი არ რჩება. ორიოდე წლის წინ მან გუნდი შექმნა იმ მოთამაშეებისგან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო თითქმის ჩამოშორდნენ სპორტს. ის ფაქტი, რომ ლოკომოტიველები გელა მიქაბერიძე, თამაზ მგელაძე და დათო კილასონია. წელს „შევარდენში“. მეორე მწვრთნელად დაინიშნა ასევე ყოფილი ლოკომოტიველი გივი ავლასტომოვი და გუნდის უკანა ხაზის თამაშიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. „შევარდენს“ ტრადიციულად ძლიერი მორკინალები ჰყავს (კაპანაძე, ალექსიძე, ელიზბარაშვილი, ბერიაშვილი და სხვები), უკანა ხაზის გააზრებულმა თამაშმა კი გუნდი აშკარად გააძლიერა.

რეგბისტები თამაშისას ერთიორად მიმზიდველად გამოიყურებიან, როცა მოედანზე თავდაჭერილად იქცევიან და ფორმაც მოხდენილი აცვიათ. წელს „შევარდენის“ მოთამაშეებს, რომლებიც მოედანზე

დღეს მიხეილ გარუჩავა „შევარდენის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, კარგად მეტყველებს ამ ერთი შეხედვით უცნაური ექსპერიმენტის მიზანშეწონილობაზე.

რამაზ სანებლიძე გუნდის მწვრთნელთა შემადგენლობის შევსებაგანახლებაზეც ზრუნავს. სხვადასხვა დროს „შევარდენის“ მოთამაშეებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ ყოფილ ერთი მეორეზე უკეთეს სპორტულ ფორმაში გამოწყობილი გამოდიოდნენ, ქომაგების, მათ შორის „პატარა შევარდნელების“ მხარდაჭერაც არ მოჰკლებიათ. რაც შეეხება თავდაჭერილობას, მართალია, „შევარდენი“ სხვა გუნდებზე ნაკლებ საყვედურს იმსახურებს (ოთხი გაძევება ბოლო სამ წელიწადში; დიახ, რეგბის თამაშის ხასიათსა და აზარტულობას თუ გავითვალისწინებთ, ეს ზადი „შევარდენს“ სხვებზე ნაკლები აქვს, თუმცა ცხადია, ჩვენ ამასაც ვერ შევურიგდებით), მაგრამ რამაზ სანებლიძესთან საუბარი მაინც ამ „საჩოთირო თემით“ დავიწყეთ, და აი, რატომ. „ბ“ ფინალურ ტურნირში თბილისის გუნდების „ლოკომოტივისა“ და „შევარდენის“ შეხვედრის შემდეგ თბილისელმა ბიოლოგმა ლია მიქაძემ გულისტკივილით აღსავსე ბარათი გამოგვგზავნა. ზოგიერთი მოთამაშის უდიერობითა და უხეშობით აღშფოთებული ავტორი გულისტკივილით გვწერდა: „ამ თამაშს ქალებიც ბლომად ესწრებოდნენ და ბავშვებიც, ბავშვები, ვისთვისაც სპორტსმენები სარბიელზეც სამაგალითონი უნდა იყვნენ და ცხოვრებაშიც“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უხეშობა უხეშობაა და ვერც „ამდენსა“ და ვერც „იმდენს“ ვერ შეგურიგდებით.

— ჩვენდა სამარცხვინოდ, — გვითხრა რამაზ სანებლიძემ, — თბილისელი რეგბისტები ამ ფაქტს ვერ უარვყოფთ. შეხვედრის შედეგს ორივე გუნდისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. თამაშის წინ ორივე გუნდის მწვრთნელებმა და ქალაქის რეგბის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მოთამაშეები საგანგებოდ გააფრთხილეს, მაგრამ მაინც შევრცხვით.

⊙ მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?

— უმაღლესი ლიგის დებიუტანტებს უძლიერესთა კომპანიაში „გასაშინაურებლად“ გარკვეული დრო დაგჭირდება. ჯერ ქვეყნის საუკეთესო კოლექტივებთან ერთად ვიასპარეზებთ, მათთან შეხვედრებში გამოცდილებას შევიძენთ, ამ ლიგის ძველ ბინადრებთან ხომ სულ რამდენიმე სათასო მატჩი გვითამაშია. ასე რომ, გაისად უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო კოლექტივს შორის მოხვედრაზე ფიქრი, ჩემის აზრით, ნაადრევია. ვეცდებით, ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. „შევარდენის“ საგაისო გეგმის ამ, ასე ვთქვათ, პრაქტიკულმა მხარემ თუ გაგვიმართლა, დანარჩენზე მერე ვიფიქრებთ. ჩვენი მთავარი საზრუნავი აი, რა გახლავთ. ადრე თბილისელ რეგბისტებს თამაშის საკუთარი ხელწერა ჰქონდათ, მათი თამაში სანახაობრივად უფრო მიმზიდველი იყო, მაგრამ თბილისური რეგბი კარგა ხანია ის აღარ არის, რაც იყო. თუ ზედმეტ სითამამეში არ ჩამოგვერთმევა, გვსურს ჩვენი წინამორბედებივით ტექნიკურად ვითამაშოთ და რეგბისტთა მატჩებზე მაყურებელი მოვიზიდოთ. ბიჭების მონდომებამ, წლევანდელი წარმატება კი მთლიანად ამ მონდომების შედეგია, პირველი ნაყოფი უკვე გამოიღო — უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოვიპოვეთ, მაგრამ თამაშის გარდაქმნა უფრო რთული ამოცანაა და დიდ დროს მოითხოვს. მოზარდების, ჩვენი გუნდის მომავალი თაობის აღზრდაშიც სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ.

⊙ მაყურებელი გვინდა მოვიზიდოთო, თქვით, ჩვენ დავძენთ— გულშემატკივარს პირობებიც უნდა შევუქმნათ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე ერთი ადგილიც არ არის მაყურებლისთვის. ამ ფაქტზე და თქვენს სტადიონზე ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მომხდარ სხვა დარღვევებზე წელს პრესაშიც ბევრჯერ დაიწერა.

— რესპუბლიკის სპორტსახკომის შესაბამისი სამსახური და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო გაისისთვის ტრიბუნებს ააგებენ ჩვენს სტადიონზე, ასე რომ, იმედი გვაქვს, მაყურებლებს ძველებურად ფეხზე დგომა აღარ მოუწევთ. ახლა რაც შეეხება დისციპლინის დარღვევას — სამწუხაროდ, ყველა მაყურებელმა არ იცის, რომ ზედმეტი ჭირისუფლობით დათვურ სამსახურს უწევენ გუნდს. ამაზე ყველა უნდა დავფიქრდეთ.

ზაალ გიბინეიშვილი,
თამაზ მიბრიული.



ციტატა

„სახურავზე და... სახურავთან“

ამ სათაურით 12 ნოემბერს „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ბ. ტოსუნიანის წერილი, რომელშიც ავტორი ავსტრიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს, კერძოდ, ვრცლად საუბრობს მაღალმთიან შლადმინგის სასტუმროს მეპატრონე ჰანს პიკლთან შეხვედრაზე. ჰანს პიკლი შლადმინგის სპეციალურ სათხილამურო სკოლაში ისტორიის მასწავლებელი გახლავთ. ამ სკოლამ, რომელიც 1970 წელს დაარსდა, მრავალი ჩინებული მოთხილამურე აღზარდა. ამ სკოლაში სტუმრად მისული გაზეთის კორესპონდენტი აპირებდა მისი ხელმძღვანელებისათვის დაწვრილებით გამოეკითხა საერთაშორისო სარბიელზე ავსტრიელი სამთომოთხილამურეების წარმატებათა საიდუმლო, მაგრამ, როცა მასპინძლებმა გაიგეს, რომელი ქვეყნიდან იყო ჟურნალისტი, საუბრის თემა შეიცვალა.

ახლა კი გთავაზობთ ციტატას:

„ამ სკოლის მოსწავლეები, თავიანთ დირექტორთან, ვერნერ შტიმბერგერთან ერთად, თურმე შარშან ზაფხულში საბჭოთა კავშირში ჩამოსულან. მათ საქართველო მოუნახულებიათ და მასპინძლობით აღფრთოვანებულნი დარჩენილან. ამ დღეებში ქართველი სამთომოთხილამურეები მათთან საპასუხო ვიზიტით ჩამოვლენ. „სიამოვნებით გავუწიარებთ მათ ჩვენს გამოცდილებას, — ამბობს დირექტორი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს საბჭოთა მეგობრებსაც სასიამოვნო მოხაგონრად დარჩებათ ჩვენთან სტუმრობა, ისინი დარწმუნდებიან, რომ ავსტრიას, ისე როგორც საბჭოთა კავშირს, შეუდარებელი ზეცა სურს“.

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის გლოკნოტში

9 და 10 ნოემბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს:

„ულგორისი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0 (0:0). ერთადერთი გოლი მატჩის მე-80 წუთზე გაიტანა რუზგისმა.

გააფრთხილეს ტორპედოელი ფეხბურთელი შავეიკო.

დუბლიორები — 2:1.

„ზენიტი“ — „ქაირათი“ 3:1 (2:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ქელუდკოვმა (2) და დმიტრიევმა, ხოლო „ქაირათის“ მხრივ — ფეხლევანიდმ.

დუბლიორები — 2:0.

„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ 2:1 (1:0). გოლები: გრაჩოვი, პეტროვი („შახტიორი“), მოროზოვი („ჩერნომორეცი“).

გააფრთხილეს დონეცკელი გრაჩოვი და ოდესელი იშჩაკი.

მატჩი იმსაჯა თბილისელმა არბიტრმა ვ. მიმინოშვილმა.

დუბლიორები — 1:2.

„ნეფტჩი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0.

გააფრთხილეს კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი ევტუშენკო.

დუბლიორები — 0:1

„მეტალისტი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:0 (0:0). ბურთი 71-ე წუთზე გაიტანა აჯოევმა.

გააფრთხილეს მინსკელი ბოროვსკი.

დუბლიორები — 1:1.

„არარატი“ — „დნეპრი“ 3:3 (0:0). „დნეპრის“ თავდამსხმელმა პროტასოვმა ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა. გარდა ამისა, მან ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი (ბურთი აიღო „არარატის“ მეკარე პოდშივალოვმა). ერევნელთაგან გოლები გაიტანეს პ. გალუსტიანმა, რაფ. გალუსტიანმა და პოღოსიანმა.

დუბლიორები — 0:2.

◎ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაწინაურდა მოსკოვის დინამოელი ა. ბორიდიუკი, რომელმაც 15 ბურთი გაიტანა. 14-14 გოლია დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვისა და სპარტაკელი ს. როდიონოვის ანგარიშზე.

◎ **გათამაშების** 29-ე ტურში, 16 ნოემბერს, საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად თამაშობს. თბილისის დინამოელები ოდესაში შეხვდებიან „ჩერნომორეცს“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“.

◎ **ჩემპიონატის** დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გამოირკვა ორი გუნდი, რომლებიც ხაგაისოდ დატოვებენ უმაღლეს ლიგას: ოდესის „ჩერნომორეცი“ და ქუთაისის „ტორპედო“.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	28	20	4	4	70-30	44
„სპარტაკი“	28	19	5	4	66-26	43
„ჩერნომორ.“	28	14	7	7	48-36	35
„შახტიორი“	29	14	7	8	45-33	35
„ზენიტი“	27	12	8	7	48-38	32
„დინ.“ თბ.	28	12	6	10	45-38	30
„დინამო“ კ.	23	11	6	6	36-28	28
„ულგორ.“	28	10	6	12	32-35	26
„დინ.“ მნ.	27	7	12	8	34-32	26
„დინამო“ მ.	26	10	5	11	34-29	25
„არარატი“	28	10	5	13	32-37	25
„ტორპ.“ მ.	29	8	8	13	35-43	24
„მეტალის.“	27	7	10	10	29-32	24
„ქაირათი“	29	7	6	16	25-56	20
„ნეფტჩი“	28	3	7	18	19-62	13
„ტორპ.“ ქ.	28	4	4	20	19-62	12

35-ე სკოლის ახალმოსახლეობა

დასასრული

80-ადგილიანი სასტუმრო, რაც საქართველოს რაიონებიდან პერსპექტიული ბავშვების მიწვევის შესაძლებლობას ქმნის. სკოლა თავისებური საფეხბურთო ცენტრი გახდა ყველა თბილისელი ბიჭისათვის, ვინც კი ფეხბურთით არის გატაცებული. აქ იღებენ მეთოდურ რჩევა-დარიგებას ქალაქის ეზოების გუნდები, საბინაო-საექსპლუატაციო უბნებთან არსებული საფეხბურთო კლუბები.

— სკოლა, — გვესაუბრება მისი დირექტორი ანდრო თურქია, რომელმაც, სხვათა შორის, ეს სკოლა დაამთავრა და მერე ბათუმის „დინამოში“ თამაშობდა, — ახლა აერთიანებს თითქმის 1000 ნორჩ ფეხბურთელს. აღმზრდელი მწვრთნელები კლასის დამრიგებლები არიან, ისინი უზრუნველყოფენ, რათა ბავშვები ეუფლებოდნენ არა მარტო საფეხბურთო ხელოვნებას, არამედ სხვა საგნებს, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. სკოლის ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში, საზღვარგარეთულ ტურნირშიც იყვნენ, ეთამაშნენ ჩეხოსლოვაკიელ, უნგრელ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელებს.

სურათებზე: ზემოთ — სკოლის აღსაზრდელები ნიკოლოზ როინიშვილი, ირაკლი ნარსია, გიორგი დათუნაშვილი (წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ილია დათუნაშვილის შვილი) და კახაბერ ხორავა წვრთნის დროს; ქვემოთ, მარცხნივ — გაკვეთილს ატარებს სკოლის დირექტორი ანდრო თურქია; მარჯვნივ — სკოლის სახადილოში.

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისის „სოკოლი“, 1907 წელი



ეს იშვიათი ფოტოსურათი ქართული ფეხბურთის ვეტერანს კონსტანტინე კრავჩენკოს პირად არქივში აღმოვაჩინეთ. მანვე გვითხრა, რომ სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი უძველესი კლუბი „სოკოლი“, რომელსაც 1907 წელს გადაერქვა სახელი და შემდეგ „კომეტად“ იწოდებოდა.

გუნდის ხელმძღვანელი და კაპიტანი იყო ვინმე ა. ელზინგერი (ცენტრში), რომელიც მეფის ნაცვლის კანცელარიაში მუშაობდა და ამის გამო თბილისში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ელზინგერი — სპორტის დიდი ტრფიალი, თავადაც თამაშობდა ფეხბურთს და ახალგაზრდებსაც აყვარებდა ამ თამაშს. მან საკმაოდ მოკლე დროში შემოიკრიბა თანამოაზრეები, დაიქირავა ადგილი დიდუბის ბაღრომის მახლობლად და ვარჯიშს შეუდგა. 1906 წელს „სოკოლი“ საკმაოდ ძლიერი კლუბი იყო ქალაქში და საჩვენებელ შეხვედრებსაც ხშირად მართავდა. ეს ფოტოსურათი ერთი ასეთი მატჩის დაწყებამდეა გადაღებული.

პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან): **ი. იზმიროვი, მ. მაიერი. ა. ელზინგერი, გ. ბარათაშვილი და ი. გაგუა. მეორე რიგში** (დგანან): **მ. მოხოვი, ვ. კობერტი, ხ. მაჭავარიანი, ი. ბედინსკი, კ. რუსტამბეკოვი, დ. აზატიანი და გ. სიხარულიძე.**

ყველაფერი უსაფრთხოებისათვის

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ემზადება ფეხბურთში 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისათვის. აქედანვე დიდი ყურადღება ეთმობა სტადიონებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, უდავოდ, სერიოზული საკითხია, რადგან „საფეხბურთო ვანდალიზმის“ ტალღამ რეინის ნაპირებამდეც მიაღწია.

რა სიახლეები იქნება ამ თვალსაზრისით საფეხბურთო სტადიონებზე? ტრიბუნები დაიყოფა ბლოკებად, რომლებიც ერთმანეთისაგან და მინდვრიდან გამოიყოფა ორმეტრიანი ტიხარებით. სპეციალური საღებავით შეიღებება ტრიბუნებიდან გამოსასვლელი ფართო გზები, რაც ხელს შეუწყობს მაყურებლის თავისუფლად გამოსვლას სტადიონიდან. სტადიონების ტერიტორიებიდან გაზიდავენ ყოველგვარ საშენი მასალის ნარჩენებსა და ქვებს. გულშემატკივრებს ჩამოერთმევათ სახიფათო საგნები, სპირტიანი სასმელები, თამაშებზე არც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მაყურებელს დაუშვებენ.

უეფა-მ აპრილში უკვე ჩაატარა სტადიონების მზადების პირველი დათვალიერება და აღნიშნა, რომ შედეგები დამაკმაყოფილებელია. მეორე საინსპექციო შემოწმება ნოემბერში ჩატარდება.

მოსალოდნელია, რომ ამ ჩემპიონატს 2000-მდე ჟურნალისტი გაიშუქებს. წინა ჩემპიონატს საფრანგეთიდან 1470 ჟურნალისტი აშუქებდა.

რესპუბლიკური შესარჩევი ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში

დანარჩენს ერეკლეს ბიბლიოთეკა დრო გვიჩვენებს

თბილისი, ქუთაისი, ხულო... აი, ამ ქალაქებისა და რაიონის გუნდები გამოარჩიეს სპეციალისტებმა სამტრედიაში გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელშიც 1971-1972 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თუმცა ნორჩ სპორტსმენთა მომზადებაში გარკვეული ხარვეზები შეინიშნება, — თქვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა სოსო მელქაძემ, — მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხალიჩაზე ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი ჩიხილეთ. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ. აი, რა გვაიმედებს, დანარჩენი კი ნაყოფიერი მუშაობისა და დროის საქმეა. სხვათა შორის, ბევრი ნორჩი „კლასიკოსი“ პირველად მონაწილეობდა რესპუბლიკურ პირველობაში. ეს შესარჩევი ტურნირი გახლდათ და გაამართლა კიდეც დანიშნულება. კანდიდატები შევარჩიეთ მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრებისათვის.

ტექნიკური შედეგები:

42 კგ. 1. დ. რუხაძე (ქუთაისი); 2. რ. თავართქილაძე (ხულო); 3. ხ. გვარამაძე (ხაშური).

45 კგ. 1. გ. ჭადაშვილი (თბილისი); 2. დ. მუმლაძე (ბორჯომი); 3. შ. იმხანიშვილი (თბილისი).

48 კგ. 1. გ. ჭოლაძე (ქუთაისი); 2. მ. ცეცხლაძე (ხულო); 3. ზ. დავითაია (ცხაკაია).

52 კგ. 1. ა. ხეცურიანი (ქუთაისი); 2. ზ. ედიბერიძე (ზესტაფონი); 3. ე. კურტანიძე (სოხუმი).

56 კგ. 1. გ. ჯინჭველაშვილი (ქუთაისი); 2. ზ. ლაფერაშვილი (საგარეჯო); 3. ე. ლომინაძე (ბათუმი).

60 კგ. 1. პ. კვიცარიძე (ქუთაისი); 2. გ. გიგოშვილი; 3. ნ. ფუხაევი (ორივე — თბილისი).

65 კგ. 1. ნ. ალიხანაშვილი (თბილისი); 2. მ. კვირიკაშვილი (ქუთაისი); 3. გ. ოსიყმაშვილი (გარდაბანი).

70 კგ. ი. ოზმანიანი (თბილისი); 2. ო. ქვაჩაკიძე (ქუთაისი); 3. კ. კუჭაშვილი (თბილისი).

75 კგ. 1. ნ. მანჯგალაძე (სამტრედია); 2. დ. ფრანგიშვილი, 3. ბ. ბლიაძე (ორივე — თბილისი).

81 კგ. 1. ზ. მურადხანოვი (თბილისი); 2. გ. ბენდელიანი (ცხაკაია); 3. კ. ღუღუნიშვილი (თბილისი).

87 კგ. 1. რ. ზარანდია (სოხუმი); 2. ა. მიქელაშვილი (ბათუმი); 3. ა. ქობულაძე (ქუთაისი).

97 კგ. 1. ჯ. ბროძელი (თბილისი); 2. ვ. ბურჯანაძე (მაიაკოვსკი); 3. მ. ჩხარტიშვილი (ბორჯომი).

+97 კგ. 1. დ. წირქვაძე (თბილისი); 2. ა. ჯინჭარაძე; 3. კ. ჩიხლაძე (ორივე — ქუთაისი).

ინტერნატელები — საკავშირო სარბიელზე

ლიპეცკში გაიმართა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში (1970-71 წლებში დაბადებულთა შორის). ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. 70 და 75 კილოგრამ წონით კატეგორიებში მეორე ადგილები მოიპოვეს შესაბამისად კახაბერ ლეჟავამ და სერგო გიგაშვილმა.

ამავე სპორტული სკოლა-ინტერნატის ცხრა მოსწავლემ საპრიზო ადგილები დაიკავა ერევანში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში.

პირველ ადგილებზე გავიდნენ: კახა გეგუჩაძე (60 კგ), გიორგი ივანიშვილი (65 კგ) და სპარტაკ მაკოევი (100 კგ), მეორეზე — კახა ჯაბიძე (72 კგ), იმედა მაქარაშვილი (70 კგ), მურმან წითაძე (81 კგ), როინ კუპატაძე (87 კგ) და გიორგი ჯანელიძე (100). მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი სულთანიშვილმა (70 კგ).

გიორგი გაგრიაძე.

სპორტული მედიცინის დიდი აღიარება

დღეს ჭადრაკის სასახლეში მუშაობას იწყებს სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის მუშაკთა II რესპუბლიკური ყრილობა. გვესაუბრება საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, დოცენტი დიმიტრი წვერავა:

— ეს ყრილობა წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში გაცილებით მეტი სამედიცინო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ყრილობას ესწრებიან არა მარტო სამკურნალო ფიზკულტურის, არამედ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებიც. მაგალითად, დელეგატები გამოგზავნეს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტმა, ფიზკულტურის და სპორტის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, ფიზიოთერაპიისა, კარდიოლოგიისა და პედიატრიის ინსტიტუტებმა, რეაბილიტაციის ცენტრმა. ყრილობის მუშაობაში სულ 250-მდე დელეგატი მიიღებს მონაწილეობას.

ის საკითხებიც, რომელიც ყრილობაზე უნდა განვიხილოთ, მეტად აქტუალურია, მაგალითად: სამკურნალო ფიზკულტურის როლი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობასა და პროფილაქტიკაში, აგრეთვე ბავშვთა დაავადებების მკურნალობაში, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების საექიმო-პედაგოგიური კონტროლი, რაიტთერაპია ე. ი. ცხენზე ჯდომით მკურნალობა და სხვა... უკანასკნელზე ცალკე მინდა გავამახვილო ყურადღება. საერთოდ, ჩვენს დარგში მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალისტთა მუშაობა ძირითადად ერთი გზით მიდის, მაგრამ რაიტთერაპიაში პრიორიტეტი ჩვენს რესპუბლიკას ეკუთვნის. მკურნალობის ამ მეთოდს ყრილობაზე გამოვიტანთ არა მხოლოდ საკითხის დასმის წესით, არამედ მასზე დაწერილი ფუნდამენტური ნაშრომებით. რაიტთერაპია ევროპის რამდენიმე ქვეყანაშია ცნობილი, მაგრამ მისი სისტემაში მოყვანა პირველად ჩვენ ვცადეთ.

რესპუბლიკური ყრილობის ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ მასში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ტაშკენტის და სხვა ქალაქების ცნობილი სპეციალისტები, პროფესორები ვიქტორ კარპმინი, ანტონინა ჟურავლიოვა, სვეტ ტიხვინსკი, დინარა ილხამჯანოვა, ქემალ ახუნდოვი და სხვები.

იმედი გვაქვს, რომ ყრილობაზე განხილულ მკურნალობის ახალ მეთოდებს, ჩვენი სპეციალისტების მრავალწლიანი შრომის შედეგს „მწვანე შუქი“ გაეხსნება, ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგება.

გუნდური მეორე ადგილი და...

ნოემბრის პირველ რიცხვებში გროზნოში ჩატარდა დიდი საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1970-1972 წწ დაბადებულთა შორის.

თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის გუნდმა (მწვრთნელები ვასილ ვალიშვილი და ჯემალ ბენდიანაშვილი) ასპარეზობაში მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. მესამეზე ორჯონიკიძელი მოჭიდავეები გავიდნენ.

ჩვენმა ათლეტებმა პირად ჩათვლაშიც გამოიჩინეს თავი. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ვ. მჭედლიშვილი (75 კგ) და ვ. გოგაშვილი (87 კგ), II ადგილზე გავიდნენ დ. ტოპესაშვილი (75 კგ) და ხ. ათანაშვილი (97 კგ); მესამეზე კი ს. ბაღაშვილი (56 კგ) და მ. ჯაფარიძე (97 კგ).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ ჩვენ გუნდის წევრი ვ. მჭედლიშვილი საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

ამჯერადაც წარმატებით

გომელში გაიმართა სსრ კავშირის პირადგუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ყრუ სპორტსმენთა შორის.

საქართველოს ყრუთა საზოგადოების ფალავნები მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ ამ შეჯიბრებაში და ტრადიციისთვის არც წლეულს უღალატნიათ — ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

პირველ ყოვლისა, ქებას იმსახურებს თბილისელი მიხეილ ქვლივიძე (68 კგ წონითი კატეგორია), რომელმაც მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი. მასთან ერთად თავი გამოიჩინა ვალერი კარიბოვმა (62 კგ), რომელიც უკვე მეოთხედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ვერცხლის მედალი მოიპოვა რამინ ფოლადიშვილმა (90 კგ), ბრინჯაოსი — ზაურ ალბაროვმა (48 კგ), ვლადიმერ პლიევმა (82 კგ) და იური გოგუაძემ (100 კგ.).

საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახდა ჩვენი რესპუბლიკის ექვსი წარმომადგენელი: მ. ქვლივიძე, ვ. კარიბოვი, რ. ფოლადიშვილი, ვ. პლიევი, ი. გოგუაძე, ზ. ალბოროვი.

ასპარეზობისთვის გუნდი მოამზადა მწვრთნელმა ელდარ სხირტლაძემ.

მწვრთნელმა ქვეყნიერებას ბრალი გადაუხადა

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა წლევანდელი სპორტული სეზონი წარმატებით დაამთავრეს, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც სეზონის პირველი გამარჯვება მარტში ტოლედოში (აშშ) მსოფლიო თასის გათამაშებაში მოიპოვა. აპრილში გუნდმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო (პირეაში), თანაც 10 მედალი დაიმსახურა, რომელთაგან 5 ოქროსი იყო. მაისში ტოკიოში გამართულ „ვარსკვლავთა ტურნირზე“ ორი პირველი და სამი მეორე ადგილი მოიპოვა. ივლისში კეთილი ნების თამაშებში შვიდი ოქროს მედალი დაისაკუთრა, ოქტომბერში კი ბრწყინვალედ გაშოვიდა ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატში (ექვსი პირველი ადგილი).

და აი, კიდევ ერთი წარმატება სეზონის ბოლო შეჯიბრებაში. ჩვენმა მოჭიდავეებმა წარმატებით იასპარეზეს იაპონელებთან ტოკიოში გამართულ სამატჩო შეხვედრებში (ამ ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციის თხოვნით გუნდები მხოლოდ დაბალი წონითი კატეგორიის ათლეტებით იყო დაკომპლექტებული). არც ერთი ბრძოლა არ წაუგიათ იაკუტსკელ ვასილი გოგოლევს, ლეონელ მიხეილ კუშნირს (ორივე — 48 კგ), ულანუდელ ბორის ბუდაევს (68 კგ), მოსკოველ ტარამ მაგომადოვს (74 კგ), ძმებს ანატოლი და სერგეი ბელოგლაზოვებს (ორივე — 57 კგ).

ანატოლი ბელოგლაზოვმა მოსკოვის ოლიმპიადაში გამარჯვების შემდეგ თავი დაანება სპორტს და მწვრთნელობა დაიწყო, მაგრამ ტოკიოში საჭიდაო მაისურის ჩაცმა მაინც მოუხდა და როგორც ხედავთ ბრწყინვალედ იჭიდავა. ყოველ შემთხვევაში, იაპონელ სპეციალისტებზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სწორედ ვეტერანი სპორტსმენების გამოსვლამ მოახდინა.

ერთადერთი მარცხი საბჭოთა გუნდში ულანუდელმა სერგეი ზამბალოვმა (52 კგ) განიცადა. მას მოუგო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მიაცურა სატომ.

ძალოსნობა

სოფია. ძალოსანთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ბულგარელებმა მეხუთე ოქროს მედალი მოიპოვეს. ამჯერად წარმატება წილად ხვდა ალექსანდრე ვირბანოვს (75 კგ) — 377,5 კგ. მანვე დამატებით მეოთხე ცდაში, აგრეთვე ბავშვთა დაავადებების მკურნალობაში, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების საექიმო-პედაგოგიური კონტროლი, რაიტთერაპია ე. ი. ცხენზე ჯდომით მკურნალობა და სხვა... უკანასკნელზე ცალკე მინდა გავამახვილო ყურადღება. საერთოდ, ჩვენს დარგში მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალისტთა მუშაობა ძირითადად ერთი გზით მიდის, მაგრამ რაიტთერაპიაში პრიორიტეტი ჩვენს რესპუბლიკას ეკუთვნის. მკურნალობის ამ მეთოდს ყრილობაზე გამოვიტანთ არა მხოლოდ საკითხის დასმის წესით, არამედ მასზე დაწერილი ფუნდამენტური ნაშრომებით. რაიტთერაპია ევროპის რამდენიმე ქვეყანაშია ცნობილი, მაგრამ მისი სისტემაში მოყვანა პირველად ჩვენ ვცადეთ.

რესპუბლიკური ყრილობის ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ მასში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ტაშკენტის და სხვა ქალაქების ცნობილი სპეციალისტები, პროფესორები ვიქტორ კარპმინი, ანტონინა ჟურავლიოვა, სვეტ ტიხვინსკი, დინარა ილხამჯანოვა, ქემალ ახუნდოვი და სხვები.

იმედი გვაქვს, რომ ყრილობაზე განხილულ მკურნალობის ახალ მეთოდებს, ჩვენი სპეციალისტების მრავალწლიანი შრომის შედეგს „მწვანე შუქი“ გაეხსნება, ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგება.

ორი მსოფლიო რეკორდი

სოფია. ძალოსანთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ბულგარელებმა მეხუთე ოქროს მედალი მოიპოვეს. ამჯერად წარმატება წილად ხვდა ალექსანდრე ვირბანოვს (75 კგ) — 377,5 კგ. მანვე დამატებით მეოთხე ცდაში ასაღებად 215 კილოგრამი აკრა.

ამ დღეს კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაემხო. ორჭიდის ჯამში მეორე ადგილზე გასულმა ბორისლავ გიდიკოვმა ატაცში 168,5 კგ აჩვენა. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი უნგრელ ანდრია სოკაცის ხვდა.

მსოფლიო ხალხთა ფიზიკური ვარჯიშები

რა არის უშუ?

ძვირფასო რედაქცია! ამას წინათ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო სუნთქვითი ვარჯიშები, რომლებსაც ჩინელები, კერძოდ კი შანჰაის მცხოვრებნი იყენებდნენ. ამ ვარჯიშების გარდა ცენტრალურმა ტელევიზიამ „კინომოგზაურთა კლუბში“ უჩვენა ჩინური სპორტის ეროვნული სახეობა უშუ. გთხოვთ გაგვაცნოთ უშუ, აგვიწეროთ მისი ილეთები.

ზურაბ მეძმარიაშვილი,
VII კლასის მოსწავლე.

...უზარმაზარ მწვანე ხალიჩაზე 83 წლის მოხუცი შესაშური სიმსუბუქით იქნევს აქეთ-იქით გრძელ ხმალს. ეს ფუ მოკუნია, უშუს ერთ-ერთი ვეტერანი, რომელმაც ახალგაზრდობაში სახელი ამით გაითქვა, რომ ხელის დარტყმით კამეჩი მოკლა. გამოცდილი ოსტატის მიერ შესრულებულ ილეთებს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ქაბუკი ხუან მინდიანი, რომელიც შემდეგ სამმეტრიანი ჯოხით თვითონ ასრულებს რთულ მოძრაობებს..

ამ რამდენიმე წლის წინ ჩინეთის უძველეს ქალაქ სიანში ჩატარდა საჩვენებელი გამოსვლები, რომელსაც 5000 მაყურებელი დაესწრო და რომელშიც სპორტის ამ ნაციონალური სახეობის 200 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ აჩვენეს ხმლის, შუბის, ჯოხის ფლობის და ჩინური კრივის ილეთები. ზოგიერთებმა ისეთი ილეთები წარმოადგინეს, რომელთა დემონსტრირებაც იშვიათად ხდება („ეშმაკის ტერფი“, „ბუდას მახვილი“).

უშუ (ხშირად მოიხსენიება, როგორც კუნ-ფუ) ჩინეთში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და პოპულარული სპორტის სახეობაა, მშრომელი ხალხი უხსოვარი დროიდან თვლიდა მას სხეულისა და სულის ვარჯიშის საუკეთესო საშუალებად და თავდაცვის იარაღად. არსებობს უშუს ოთხი სახე: მუშტი-კრივი, სხვადასხვა იარაღით ორთაბრძოლა, წყვილების ორთაბრძოლა და რამდენიმე მოწინააღმდეგესთან შერკინება. ვარჯიშებს ასრულებენ ისეთი უძველესი იარაღებით, როგორიცაა შუბი, გრძელი და მოკლე მახვილი, კაუჭები, ნასკვებიანი მათრახი, რკინის ნაწიბურიანი თოკი, რომელსაც „განგმირავ ვარსკვლავსაც“ უწოდებენ და სხვა. უშუს სახეობებია: ჩანციუანი, რომელიც მოითხოვს უდიდეს სისწრაფესა და მოქნილობას და ამიტომ მას უფრო ახალგაზრდები მისდევენ. ახალგაზრდები მისდევენ სინციიუანსაც, რომელიც ასევე დიდ ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ნანციუანი გავრცელებულია სამხრეთ ჩინეთში და გამოირჩევა იმით, რომ მოკრივეები იბრძვიან ხელებითა და ფეხებით, ხმამაღალი შეძახილებით. ტაიძიციუანსისთვის ნელი მოძრაობებია საჭირო და ამიტომ იგი მიზანშეწონილია ხანშიშესულთათვის, ფიზიკურად სუსტებისთვის და ავადმყოფებისთვისაც კი. არსებობს ისეთი ვარჯიშები, რომელთაც „მიმბადველს“ უწოდებენ — სპორტსმენები ცხოველებს აკვირდებიან, შემდეგ მათ ზოგიერთ მოძრაობაში ბაძავენ.

„იყავ ისეთივე ურყევი, როგორც ჩასობილი ლურსმანი“, „მოატრიალე თავი მაიმუნის სისწრაფით“, „იყავი მოქნილი ლეოპარდივით“, „ჩაუსაფრდი, როგორც დრაკონი“, „დაარტყი, როგორც ელვა, გაქრი, როგორც ქარი“, — აი, უშუს ძირითადი კანონები.

495 წელს (ჩვ. წ.) ინდოელი ბერი ბა ტუო ბუდიზმის გასავრცელებლად ჩინეთში ჩავიდა. მან ჩაუყარა საფუძველი შაოლინის მონასტერს. რამდენიმე წლის შემდეგ მონასტერში დასახლდა ბერი და მო, რომელიც თავის მიმდევრებს ურჩევდა მიწიერ მოთხოვნილებებზე უარი ეთქვათ და ლოცვაში გაეტარებინათ დრო. მაგრამ შეგირდებს მალე შეატყო, რომ ლოცვის დროს ისინი მალე იძინებდნენ. ისიც ადგა და ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი შექმნა. ასე დაიწყო უშუ. როდესაც შაოლინის მონასტერს თავს ესხმოდნენ ყაჩაღები, ბერები მათთან ბრძოლისას სრულყოფდნენ თავიანთ ოსტატობას, ხოლო ტექნიკურ ილეთებს ტყვედჩავარდნილებთან ბრძოლაში ხვეწდნენ. I საუკუნეში (ჩვენს ერამდე) ბერი კვიო პე ქმნის უშუს სახეობას — „გრძელი ხელის ხელოვნებას“. III საუკუნეში—ექიმი ხუ ტო მონასტერში ატარებდა დაკვირვებებს ადამიანისა და ცხოველის ფიზიკურ მსგავსებაზე. იგი წლების განმავლობაში აკვირდებოდა ვეფხვის, დათვის, მაიმუნის, ირმის ბრძოლის მანერას და ბოლოს სისტემა „პაკუა“ — ვარჯიშების მთელი კომპლექსიც შექმნა. მისმა მოსწავლეებმა ამ ილეთებს გველებზე, ვირთხებზე, არწივებზე დაკვირვებების შემდეგ თავდასხმისა და თავდაცვის ილეთებიც დაუმატეს. მალე ამ ილეთებით „შეიარაღდნენ“ იმპერატორის გენერლები, რომლებმაც შეცვალეს და გააოლეს იგი და უშუ დაარქვეს. VI საუკუნეში შაოლინის მონასტერში გამოჩნდა უცნაური პიროვნება — ინდოელი ბერი ცა მუ, რომელსაც ფანატიკური რწმენისა და უშუს თავდავიწყებით შეყვარებისათვის ბოდიტხარმას ეძახდნენ. მან მიაგნო უშუს „შინაგან“ სტილს, რომელიც შინაგან ენერგიას ფიზიკურ ენერგიად გარდაქმნის. „ათასი ბუდას“ ტაძართან ერთმანეთისაგან მეტრნახევრით დაშორებული ოცი სანტიმეტრის სიღრმის ორმოებია. ეს წინაპრების ნაკვალევია. აქ ფეხებზე გამობმული რკინის სიმძიმეებით ნახტომის ტექნიკას ამუშავებდნენ; ხუთი წლის მანძილზე ყოველდღე, ორი საათის განმავლობაში ქვებით სავსე ტომარას ურტყამდნენ ხელს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 772 წელს (ძვ. წ.) მშვილდოსნობასა და ცხენოსნობასთან ერთად უშუს ტურნირებიც ტარდებოდა. XVII საუკუნის 40-ან წლებში შაოლინის მონასტრის ბერმა ჩენ იუანფუმ უშუ იაპონიაში გაავრცელა. სწორედ უშუსა და იაპონური ჯიუჯიცუს ძირითადი ილეთების სინთეზია ჭიდაობა ძიუდო.

საუკუნეების მანძილზე უშუ თანდათან დაიხვეწა, დაიხვეწა მისი მოძრაობები, ახალი ილეთები. სპორტსმენი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სუნთქვის ტექნიკას, შეეძლოს მეყსეულად გარდაქმნას მოძრაობის ენერგია უძლიერეს დარტყმად.

— მთელი ცხოვრება ვვარჯიშობ — ამბობდა 78 წლის ბერი, — დღეს მხოლოდ თორმეტი „პაკუას“ და სუნთქვით ვარჯიშებს ვასრულებ. ჩემი ოცდაორი მოსწავლე ყოველდღე სამ საათს ვარჯიშობს. 77 წლის კვან ტაჯხინგი ამბობდა, მე მირჩევნია ჩემი ხელოვნება საფლავში ჩავიტანო, ვიდრე ვიღაც ქუჩის მოჩხუბარს შევასწავლოო.

უშუ ჩინეთში წლების განმავლობაში აკრძალული იყო. მისი აღორძინება დაკავშირებულია უძლიერესი კუნფუციუსის და მსახიობის ლი ლიანიეს სახელთან, რომელიც მრავალ სათავგადასავლო ფილმშია გადაღებული („შაოლინის მონასტერი“ და სხვ.).

ჩინეთში უშუ მოსახლეობის ყველა ფენაში პოპულარულია. დილით და საღამოს ქუჩებსა და პარკებში ყველა ასაკის ადამიანი გულმოდგინედ ვარჯიშობს. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა პეკინი და შანხაი, უშუს ასიათასობით მომდევარი ჰყავს. ქალაქებში ბავშვებისთვის გახსნილია უშუს სკოლები და კლუბები; ეწყობა ტაიძიციუანის შემსწავლელი კურსები. უშუ სოფლებშიც დიდი პატივისცემით სარგებლობს. მაგალითად, სოფელ დიციუანის მოსახლეობის მრავალი თაობა საუკუნეების მანძილზე ეუფლება უშუს ხელოვნებას. ხშირად მინდორში მუშაობის დროს შესვენებისას, ახალგაზრდები იმპროვიზირებულ ორთაბრძოლებს ატარებენ, რაც უდიდეს ფიზიკურ და სულიერ სიამოვნებას ანიჭებს მათ.

ბეჟან თათეიშვილი.

მკითხველი — გაზეთი

ინფორმაცია

ნეშვილი (აშშ). საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდი — 112:91 (67:58). ეს იყო საბჭოთა და ამერიკელ კალათბურთელთა მეცხრე შეხვედრა და ჩვენი გუნდის მეხუთე გამარჯვება.

ტოკიო. ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ჩინეთის გუნდი დაამარცხა 3:0 (12:5, 12:8, 12:9).

ლისაბონი. მსოფლიო ჩემპიონის სახელი 15 კილომეტრზე რბენაში სსრ კავშირის ნაკრებმა მოიპოვა (ტატიანა კაზანკინა, ლიუდმილა მატვეევა და მარინა როდჩენკოვა). პირად ჩათვლაში პირველ ადგილზე პორტუგალიელ აურორა კუნია გავიდა — 48.31.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 13 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 17.10 (1); რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში — 21.15 (2) და 0.30 (1);

14 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში—21.40 (1).

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 88488. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07725